უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

საქმიანობის ბიულეტენი

სექტემბერი, 2023

თემატიკა:

- საშემოდგომო სესიის გახსნა
- ბიუროს სხდომა
- კომიტეტის სხდომა
- პლენარული სხდომა
- საერთაშორისო ურთიერთობები
- სხვა აქტივობები

უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტივობები, გადაწყვეტილებები, მიღებული სამართლებრივი აქტები და სხვა ღონისძიებები აისახება საინფორმაციო ბიულეტენში, რომელიც საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიების პერიოდში ყოველთვიურად გამოქვეყნდება.

საშემოდგომო სესიის გახსნა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

საშემოდგომო სესია პლენარული სხდომით გაიხსნა

5 სექტემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლეს საბჭოში საშემოდგომო სესია პლენარული სხდომით გაიხსნა, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა.

განცხადებების შემდეგ, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შესატანი ცვლილების პროექტი, გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვისთვის, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ლადო მგალობლიშვილმა წარმოადგინა.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, რეგლამენტის ცვლილება „მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებითაა განპირობებული, რომლის თანახმადაც, 2023 წლის 22 ივლისიდან გაუქმდა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო, შესაბამისად, უფლებამოსილება შეუწყდათ მრჩეველთა საბჭოს წევრებსაც.

გარდა ამისა, ამავე ცვლილებით, აჭარის უმაღლესი საბჭო საქართველოს პარლამენტს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელევიზიისა და რადიოს სამეურვეო საბჭოში ასარჩევად ერთის ნაცვლად - სამ მეურვეობის კანდიდატს წარუდგენს.

რეგლამენტის პროექტი კანონმდებლებმა 13 ხმით მიიღეს, კენჭისყრამდე სხდომათა დარბაზი ოპოზიციის ნაწილმა დატოვა.
კანონმდებლებმა 12 ხმით, გამარტივებული წესით განიხილეს და მიიღეს კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელიც ლადო მგალობლიშვილმა წარმოადგინა.

ბიუროს სხდომა

ბიუროს სხდომა

1 სექტემბერი, 2023 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული ორი საკითხი განიხილეს.

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ რეგლამენტის პროექტი და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილება ბიუროს წევრებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ წარუდგინა.

აღნიშნული ცვლილებები „მაუწყებლის შესახებ“ და „სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ საქართველოს კანონებში შეტანილი ცვლილებებითაა განპირობებული.

ბიუროს გადაწყვეტილებით, ორივე საკითხზე განხილვის ახალი ვადა 5 სექტემბრამდე განისაზღვრა.

ბიუროს სხდომა

4 სექტემბერი, 2023 წელი

ხვალ, 5 სექტემბერს, აჭარის უმაღლეს საბჭოში პლენარული სხდომით საშემოდგომო სესია გაიხსნება. დღის წესრიგი ბიუროს სხდომაზე განისაზღვრა, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა.

,აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტსა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ლადო მგალობლიშვილმა წარმოადგინა.

ორივე პროექტი 5 სექტემბრის პლენარულ სხდომაზე განიხილება.
ამავე სხდომაზე ბიურომ მხარი დაუჭირა აჭარის უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის დეტალურ განწერაში შესატან ცვლილებას, რომელიც დავით გაბაიძემ წარმოადგინა.

კომიტეტის სხდომა

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომა

1 სექტემბერი, 2023 წელი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც ამავე კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე - მედეა ვასაძე უძღვებოდა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილება განიხილეს. კომიტეტმა მხარი დაუჭირა კანონის პროექტის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე, გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით, განხილვას.

კომიტეტის წევრებმა ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებითაც, რომელიც, ასევე გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით, განიხილება.

სხდომაზე, ასევე მოისმინეს და ცნობად მიიღეს ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლების უმაღლესი საბჭოს ფრაქციების მიერ 2023 წლის საგაზაფხულო სესიაზე გამოყენების შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ვლადიმერ მგალობლიშვილმა წარმოადგინა.

კომიტეტებმა ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა ცნობად მიიღეს

8 სექტემბერი, 2023 წელი

კომიტეტებმა ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა ცნობად მიიღეს აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტისა და აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე, 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულება მიმოიხილეს.

შესაბამისი მოხსენება ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა წარმოადგინა.

ჯაბა ფუტკარაძემ ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების გაცნობის შემდეგ, რეგიონისთვის მნიშვნელოვან პროექტებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის ორი კვარტლის ბიუჯეტი გადაჭარბებით შესრულდა, ამასთან, ზრდის ტენდენცია სამომავლოდაც შენარჩუნდება.

მინისტრის მიერ წარმოდგენილი მიმოხილვა, კითხვა-პასუხის შემდეგ, ორივე კომიტეტმა ცნობად მიიღო.

კომიტეტმა ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულება განიხილა

8 სექტემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტში ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს მოუსმინეს. სხდომაზე, რომელსაც ამავე კომიტეტის თავმჯდომარე - ლადო მგალობლიშვილი უძღვებოდა, ჯაბა ფუტკარაძემ 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების მიმოხილვა წარმოადგინა.

მომხსენებლის განცხადებით, ორი კვარტლის შესრულება მზარდი ტენდენციით გამოირჩევა და ეს ტემპი სამომავლოდაც შენარჩუნდება.

როგორც აღინიშნა, ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი ინფრასტრუქტურულ პროექტებზეა გათვალისწინებული, რომლებიც ყველა მუნიციპალიტეტს მოიცავს.

მთავარი საბიუჯეტო პარამეტრების წარდგენის შემდეგ, მინისტრმა უპასუხა კანონმდებელთა კითხვებს.
მიმოხილვა კომიტეტის წევრებმა ცნობად მიიღეს.

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომა

12 სექტემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტმა მხარი დაუჭირა 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების მიმოხილვის ბიუროსთვის წარდგენას. გადაწყვეტილება კანონმდებლებმა, კომიტეტის სხდომაზე მიიღეს, რომელსაც მარინე გვიანიძე უძღვებოდა.

მიმოხილვა, წამყვან კომიტეტზე, ამჯერადაც ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა წარმოადგინა. ჯაბა ფუტკარაძის განცხადებით, ორი კვარტლის მონაცემებით, ბიუჯეტის შემოსულობები 107 %-ით, გადასახდელები კი - 77 %-ით შესრულდა.

ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების გაცნობის შემდეგ, მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა რეგიონის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე, ასევე სიახლეებზე, რომელთა განხორციელებაც უახლოეს მომავალში დაიწყება.

მინისტრმა უპასუხა კომიტეტის წევრების კითხვებს.

კომიტეტი ახალ თემატურ მოკვლევას იწყებს

13 სექტემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტში სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ 2022 -2023 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მოისმინეს. სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე - დავით ბაციკაძე უძღვებოდა, მოხსენებით აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე - ზაურ ახვლედიანი წარსდგა.

მისი განცხადებით, სააგენტოს შარშანდელი ბიუჯეტი 4 მილიონ ლარს აჭარბებდა და პროგრამულ სამუშაოებს, ძეგლების რეაბილიტაციას, პოპულარიზაციას, მარკეტინგულ მხარდაჭერასა და არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ითვალისწინებდა. ზაურ ახვლედიანმა, ასევე ისაუბრა არსებულ გამოწვევებზე, სიახლეებზე და უპასუხა კანონმდებელთა კითხვებს, მოისმინა მათი წინადადებები.

წარმოდგენილი ინფორმაცია კომიტეტმა ცნობად მიიღო.

„მოსწავლეთა მასობრივ სპორტში ჩართულობის შესახებ მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობის შესწავლაზე“ ახალი თემატური მოკვლევის დაწყების შესახებ კომიტეტის თავმჯდომარემ - დავით ბაციკაძემ ისაუბრა. მოკვლევა სამი თვის განმავლობაში გაგრძელდება და მიღებული რეკომენდაციები შესაბამის უწყებას გადაეგზავნება.

რაც შეეხება „აჭარის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობის შესწავლასთან დაკავშირებით“ ჩატარებულ წინა მოკვლევას, როგორც დავით ბაციკაძემ აღნიშნა, უმაღლესი საბჭოს დარგობრივი კომიტეტის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს პროგრამული სახე მიეცა და გარკვეული პროცედურების გავლის შემდეგ, ამოქმედდება.

სამუშაო შეხვედრები, სხვა აქტივობები

შეხვედრა საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თემატური მოკვლევის ჯგუფთან

1 სექტემბერი, 2023 წელი

„თემატური მოკვლევები ძალიან აქტუალურია, მით უმეტეს, როცა ეს ეხება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს“, - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ილია ვერძაძემ, ბათუმში, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე.

ღონისძიება, რომელიც პარლამენტის დარგობრივი კომიტეტის თავმჯდომარემ - ზაზა ლომინაძემ გახსნა, საქართველოს პარლამენტის მიერ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და დიდი ბრიტანეთის „UK aid-ის“ ხელშეწყობით დაწყებულ თემატურ მოკვლევას - „საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობა და არსებული გამოწვევები“ დაეთმო.

როგორც აღინიშნა, თემატური მოკვლევის ჯგუფის გასვლით შეხვედრებზე, რომლებზეც ფსიქიკური ჯანდაცვის სფეროში არსებული გამოწვევები განიხილება, უკვე გაიმართა, იმერეთსა და სამეგრელოში. რაც შეეხება აჭარას, ღონისძიებას ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები, დარგობრივი კომიტეტის აპარატის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ბათუმის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის, შესაბამისი უწყებებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მოქმედი ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გონიოს ციხე ტრადიციულ "რომაულ ფესტივალს" მასპინძლობს

2 სექტემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე, გონიოს ისტორიულ ციხესიმაგრეში, ,,რომაული ფესტივალი 2023-ის“ გახსნის ღონისძიებას დაესწრო.

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ ორგანიზებული ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იყო რომაული ბანაკი, საბრძოლო აღჭურვილობა, ასევე რომაელი ლეგიონერის ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული ნივთები. ფესტივალის მრავალრიცხოვანი სტუმრებისთვის აქვე მოეწყო სხვადასხვა სახის ნაკეთობების, კერამიკული ნაწარმისა და ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა.

ტრადიციულ ფესტივალზე გამართულმა თეატრალიზებულმა სანახაობებმა - რომაულმა ცეკვებმა და ,,გლადიატორების ორთაბრძოლებმა” ისტორიული ციხესიმაგრის უძველესი, საუკუნების წინანდელი ყოფა და ტრადიციები გააცოცხლა.

სპეციალურმა ლაზერშოუმ კი, სტუმრებსა და ადგილობრივებს კიდევ ერთხელ შეახსენა გონიოს ციხის ისტორია.

ფესტივალი ორდღიანია და 3 სექტემბერს დაიხურება.

„მუნიციპალიტეტების როლი ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელებაში“- კონფერენცია ბათუმში

7 სექტემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები - ტიტე არაშიძე და ირაკლი ჭეიშვილი, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, კონფერენციას - ,,მუნიციპალიტეტების როლი ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელებაში“ ესწრებიან.

2-დღიანი კონფერენცია აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ - თორნიკე რიჟვაძემ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ - მზია გიორგობიანმა, ქალაქ ბათუმის მერმა - არჩილ ჩიქოვანმა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეა) ვიცე-პრეზიდენტმა - ზურაბ აბაშიძემ და (GZ/ECR) რადლოს მუნიციპალიტეტის ვიცე-მერმა - პაველ ბრანდამ გახსნეს.

ევროპის რეგიონთა კომიტეტის აღმოსავლეთ პარტნიორობის კონფერენციის (CORLEAP) რიგით მე-12 ყოველწლიურ შეხვედრას, საქართველოს თანათავმჯდომარეობის ფარგლებში, ამჯერად ბათუმი მასპინძლობს. შეხვედრაში წევრი ქვეყნების, ასევე საქართველოს მუნიციპალიტეტების, ათეას მიერ ევროპის საბჭოს კონგრესში, ევროპის რეგიონთა და მუნიციპალიტეტთა საბჭოში (CEMR) წარდგენილი დელეგაციების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

ფორუმი ქალაქების და რეგიონების როლსა და მნიშვნელობას დაეთმობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში. დამტკიცდება 2023-2024 წლების განახლებული სამოქმედო გეგმა და გაიმართება CORLEAP-ის თანათავმჯდომარის სტატუსის გადაბარების ცერემონია, რომელსაც საქართველო უკრაინას გადააბარებს.

სამშენებლო მასალების, ტექნოლოგიებისა და უძრავი ქონების მე-12 საერთაშორისო გამოფენა

8 სექტემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე და უმაღლესი საბჭოს წევრები, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, სამშენებლო მასალების, ტექნოლოგიებისა და უძრავი ქონების მე-12 საერთაშორისო გამოფენა - „Batumi Build -2023-ის“ გახსნის საზეიმო ღონისძიებას დაესწრნენ.

კომპანია „GEONET EXPO-ს“ ორგანიზებულ ტრადიციულ გამოფენას ბათუმის „სპორტის სასახლე“ მასპინძლობს და 80-მდე ადგილობრივი თუ საერთაშორისო კომპანიაა წარმოდგენილი.

გამოფენის მიზანი სამშენებლო ბიზნესის წარმომადგენლების ერთ სივრცეში გაერთიანება, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის გაცვლა, ბიზნესკონტაქტების მოძიება-დამყარებაა.

ახალგაზრდული კონგრესი ბათუმში

10 სექტემბერი, 2023 წელი

„ის შესაძლებლობები, რომლებიც გაქვთ ახალგაზრდებს, მაქსიმალურად უნდა გამოიყენოთ და იაქტიუროთ, რომ მიაღწიოთ დასახულ მიზნებს“, - განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ ბათუმში გამართულ ახალგაზრდულ კონგრესზე.

საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე, ღონისძიებას, უმაღლესი საბჭოს წევრებთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

კონგრესის მიზანი ახალგაზრდობის თემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციების, მათი წარმომადგენლების ერთ სამუშაო სივრცეში გაერთიანება, ინფორმაციის გენერირება და დაინტერესებული პირებისათვის გაცნობაა. ღონისძიების ფარგლებში, სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026, ასევე არსებული გამოწვევები, მიმდინარე პროცესები, სამომავლო გეგმები განიხილება.

კონგრესის მონაწილეებს, მიესალმა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - ტიტე არაშიძე, ღონისძიების მეორე პანელში კი, ახალგაზრდული პოლიტიკის მნიშვნელობაზე, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრმა - დავით ბაციკაძემ ისაუბრა.

სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონგრესს აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტის 400-მდე ახალგაზრდა, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები, პარტნიორი ორგანიზაციები და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

ღონისძიება სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა.

წარჩინებულ სტუდენტებს სტიპენდიები გადაეცათ

11 სექტემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრებმა - ფრიდონ ფუტკარაძემ და მარინე გვიანიძემ, ხელვაჩაურის თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, მუნიციპალიტეტში მცხოვრები წარმატებული სტუდენტები დააჯილდოვეს.

„აკადემიკოს ვახტანგ შამილაძის სახელობის სტიპენდიით მოსარგებლე სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, საკონკურსო კომისიამ, ამჯერად 49 სტუდენტი შეარჩია.
2022-2023 სასწავლო წლის მაღალი სემესტრული (შეწონილი) შეფასების მქონე ახალგაზრდები 500 ლარით დაფინანსდებიან.

პროგრამის ფარგლებში, ტრანსპორტირების თანხა დაუფინანსდება ერთ შშმ პირ სტუდენტს. პროგრამა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი საფეხურის, მაღალი აკადემიური შეფასების (A კატეგორია) მქონე სტუდენტების დაფინანსებას ითვალისწინებს.

დავით გაბაიძემ და დავით ბაციკაძემ გამარჯვებული მოსწავლეები დააჯილდოვეს

12 სექტემბერი, 2023 წელი

„დარწმუნებული ვარ, მომავალში კიდევ უფრო მეტ წარმატებას მიაღწევთ, ნუ შეჩერდებით“, - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ 2022 წელს კონკურსებსა და საგნობრივ ოლიმპიადაში გამარჯვებულთა დაჯილდოებისას. დავით გაბაიძემ და უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - დავით ბაციკაძემ, სხვადასხვა საგნობრივ ოლიმპიადასა და კონკურსებში გამარჯვებულ მოსწავლეებს დამსახურებული ჯილდოები გადასცეს.

ღონისძიებაზე, რომელსაც აჭარის მთავრობის თავმჯდომარე - თორნიკე რიჟვაძე, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი - მაია ხაჯიშვილი, თვითმმართველობების, რესურსცენტრებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, 147 მოსწავლე დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა.

2022 წელს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამაში - „კონკურსები და ოლიმპიადები“, დაახლოებით 15 ათასი მოსწავლე მონაწილეობდა. პროგრამის ფარგლებში ჩატარდა: სახვითი ხელოვნების კონკურსი, ლიტერატურული მარათონი, სპორტული შეჯიბრი, კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის. ასევე, საგნობრივი ოლიმპიადა ექვს საგანში.

ახალმოსახლეობა ბათუმში ასძა ოჯახმა იზეიმა

14 სექტემბერი, 2023 წელი

„ხელმისაწვდომი საცხოვრისის“ პროგრამის ფარგლებში, ბათუმში, ჯავახიშვილის ქუჩაზე, ბინებით კიდევ 100 ოჯახი დაკმაყოფილდა. საცხოვრებელი ფართების მფლობელებს ახალმოსახლეობა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ - თორნიკე რიჟვაძემ, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ - ტიტე არაშიძემ, ბათუმის მერმა - არჩილ ჩიქოვანმა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა მიულოცეს.

„სასიხარულოა, რომ ჩვენს ქალაქში კიდევ 100 ოჯახს გაუუმჯობესდა საცხოვრებელი პირობები და გადაეცა კეთილმოწყობილი ბინები. თანამედროვე ტიპის 5-სართულიანი საცხოვრებელი კომპლექსები, „ხელმისაწვდომი საცხოვრისის“ პროგრამის ფარგლებში, ეტაპობრივად შენდება. საწყის ეტაპზე 80-მა ოჯახმა უკვე იზეიმა ახალმოსახლეობა. პროგრამა გრძელდება და უახლოეს მომავალში, საკუთარი ჭერი კიდევ არაერთ ოჯახს ექნება“, - აღნიშნა ტიტე არაშიძემ.

ქალაქ ბათუმის „ხელმისაწვდომი საცხოვრისის“ პროგრამის ფარგლებში, ახალი საცხოვრებელი ბინებით, ამ დროისთვის, 180 ოჯახია დაკმაყოფილებული. გარდა ამისა, უახლოეს 2 წელიწადში დაგეგმილია ავარიულ სახლებში მცხოვრები 3 ათასამდე ოჯახის უსაფრთხო საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი განიხილეს

15 სექტემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - მარინე გვიანიძე აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტისა და პროგრამების საჯარო განხილვაში მონაწილეობდა.

შესაბამისი ინფორმაცია, უწყებაში გამართულ შეხვედრაზე, სოფლის მეურნეობის მინისტრმა - ზაზა შავაძემ წარადგინა. მისი განცხადებით, სამინისტროს 2024 წლის ბიუჯეტი 1 513 903 ლარით იზრდება და 31 მილიონს აჭარბებს.

მარინე გვიანიძის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კვლავ პრიორიტეტულია: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა-გაძლიერება, მდგრადი და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა.

პროექტი სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების და სოფლად მეწარმეობის განვითარებას, ფერმერების საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული სახნავ-სათესი ფართობების უფასოდ დამუშავებას, ციტრუსის სუბსიდირებას, ლაბორატორიული კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერას, სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და ფიტოსანიტარიული კონტროლისთვის შესაბამისი კვლევების (ტესტირების) გაგრძელებას და რიგ სხვა მნიშვნელოვან პროგრამებს ითვალისწინებს.

სამი ახალი ბაღი საზეიმოდ გაიხსნა

18 სექტემბერი, 2023 წელი

ბათუმის საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესი განახლდა. ამასთან, ქალაქს, სკოლამდელი აღზრდის სამი, ახალი დაწესებულება შეემატა. საზეიმო გახსნას აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები - ტიტე აროშიძე, დავით ბაციკაძე და ფატი ხალვაში, აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან - თორნიკე რიჟვაძესთან, ბათუმის მერთან - არჩილ ჩიქოვანთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად დაესწრნენ.

„სასიხარულოა, რომ ამიერიდან ახალი საბავშვო ბაღები გვაქვს ბაგრატიონის, ქათამაძის ქუჩებზე, ასევე დაბა ჩაქვში - ჭავჭავაძის ქუჩაზე. აღნიშნული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები 800-ზე მეტ აღსაზრდელზეა გათვლილი და ადაპტირებულია შშმ პირებისთვის“, - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ - ტიტე აროშიძემ.

„ზოგად-საგანმანათლებლო თუ სააღმზრდელო დაწესებულებებზე ბოლო დროს გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, ბათუმში არაერთი პროექტი ხორციელდება და ეს პროცესი შეუქცევადია,“ - განაცხადა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - დავით ბაციკაძემ.

უმაღლესი საბჭოს წევრის, ფატი ხალვაშის განცხადებით, სამი ახალი ბაღის მშენებლობაზე, ბათუმის ბიუჯეტიდან 7 მილიონი ლარი დაიხარჯა.

გონიოს ციხესიმაგრეში „ხელვაჩაურის დღეები“ გაიმართა

22 სექტემბერი, 2023 წელი

“მჯერა, დღევანდელი დღე იქნება ერთგვარი სიმბოლო კიდევ უფრო მეტი წარმატების, აღმავლობისა და ძლიერების“, - განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ - ტიტე არაშიძემ ხელვაჩაურში გამართულ სახალხო ზეიმზე, რომელიც მუნიციპალიტეტის საიუბილეო, 55-ე წლისთავს მიეძღვნა.

გონიოს ციხესიმაგრეში გამართული ღონისძიების - „ხელვაჩაურის დღეების“ მონაწილეებს, სტუმრებს მიესალმნენ და ღირსშესანიშნავი თარიღი მიულოცეს: აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ - თორნიკე რიჟვაძემ, უმაღლესი საბჭოს წევრმა - ფრიდონ ფუტკარაძემ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა დააჯილდოვეს საპატიო ხელვაჩაურელები.

სახალხო ზეიმზე მისულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეთვალიერებინათ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებისთვის დამახასიათებელი კუთხეების გამოფენა, (ლაზური, მაჭახლური, აფხაზური და სხვა კუთხე), ადგილობრივი რეწვის ოსტატთა ნამუშევრები, გაცნობოდნენ ისტორიულ მასალებს.

საიუბილეო ღონისძიება საზეიმო კონცერტით, ფრანების გაშვებითა და ფოიერვერკით დასრულდა.

მირიან მეფის ქუჩის N13-15-ის მიმდებარედ სკვერი შენდება

25 სექტემბერი, 2023 წელი

„ბათუმსა და შემოერთებულ ტერიტორიებზე რეკრეაციული ზონების მოწყობა გრძელდება.

ამ ეტაპზე, მირიან მეფის ქუჩის N13-15-ის მიმდებარედ შენდება სკვერი, რაც ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის მნიშვნელოვანია“, - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ - ტიტე არაშიძემ მიმდინარე სამუშაოების გაცნობისას.

უმაღლესი საბჭოს წევრი ობიექტზე, აჭარის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია "ქართული ოცნების" თავმჯდომარესთან - გიორგი მანველიძესთან, ქალაქ ბათუმის მერთან - არჩილ ჩიქოვანთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა.

ახალმშენებარე სკვერში დასრულებულია ტრენაჟორებისა და საბავშვო ატრაქციების მონტაჟი, დაიგო კაუჩუკის საფარი. მშენებლები ამჟამად ტროტუარების მოწყობაზე, ფილების, მწვანე კორდის დაგებასა და ელექტროგანათების მონტაჟზე მუშაობენ, განთავსდება საპარკე ინვენტარიც. სამუშაოები მიმდინარე წლის ნოემბერში დასრულდება.

სკვერის მოწყობის სამუშაოები, პარალელურად, მიმდინარეობს ანწუხელიძისა და ადლიის ქუჩების კვეთაშიც, სადაც სპორტული მოედანიც განთავსდება. წელს ბათუმში უკვე მოეწყო 7 სკვერი, უახლოეს დღეებში დაიწყება ევროპის მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სკვერი მოეწყობა თამარ მეფის გზატკეცილის N 20-ის მიმდებარედ, ასევე, დაგეგმილია ჩაქვის რეკრეაციული სივრცის მოწყობაც.

ფრიდონ ფუტკარაძე ფესტივალზე - "შემოდგომა ღორჯომში"

25 სექტემბერი, 2023 წელი

„სახალხო დღესასწაულები ხელს უწყობს ჩვენი რეგიონის თითოეული ხეობისა თუ სოფლის კულტურის, მისი ყოფის, ისტორიის წარმოჩენასა და პოპულარიზაციას“, - განაცხადა მაღალმთიანი აჭარის მაჟორიტარმა დეპუტატმა აჭარის უმაღლეს საბჭოში - ფრიდონ ფუტკარაძემ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომში გამართულ ფესტივალზე - "შემოდგომა ღორჯომში".

სხვადასხვა კულტურული და სპორტული აქტივობებით დატვირთულ

ღონისძიებაზე სტუმრებმა დაათვალიერეს გამოფენა, რომელზეც დეკორაციები, ტრადიციული კერძები, რეწვის ნიმუშები, ნაქსოვები, ნაქარგები, ძველი საყოფაცხოვრებო და ხელნაკეთი ნივთები იყო წარმოდგენილი.

ფესტივალის ფარგლებში გაიმართა საპატიო ღორჯომელების დაჯილდოება და კონცერტი, რომელშიც ადგილობრივი ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები მონაწილეობდნენ.

სოხუმის დაცემიდან 30 წლისთავზე საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულები გაიხსენეს

27 სექტემბერი, 2023 წელი

სოხუმის დაცემიდან 30 წლისთავზე, ბათუმში, საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულები გაიხსენეს.

აჭარის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებსა და სხვადასხვა სამშვიდობო მისიებში მონაწილე ვეტერანებმა, გმირთა ხეივანში ყვავილებითა და გვირგვინებით შეამკეს ეროვნული გმირის - ჟიული შარტავას მემორიალი.

ის, სოხუმის დაცემის დღეს, ქალაქის მერთან - გურამ გაბესკირიასთან და 30-მდე ქართველთან ერთად დახვრიტეს.

ბათუმი ტურიზმის საერთაშორისო ფორუმსა და World Travel Awards-ის დაჯილდოებას მასპინძლობს

28 სექტემბერი, 2023 წელი

ბათუმი მსოფლიო ტურიზმის ოსკარის სახელით ცნობილ - World Travel Awards-ის დაჯილდოებას მასპინძლობს. გალაცერემონიამდე, ერთი დღით ადრე, გაიმართა ტურიზმის საერთაშორისო ფორუმი, რომელსაც აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - მარინე გვიანიძე, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად დაესწრნენ.

ღონისძიება აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ - თორნიკე რიჟვაძემ, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარემ - თინათინ ზოიძემ და World Travel Awards-ის ვიცე-პრეზიდენტმა - საიონ რაფსონმა გახსნეს.

WORLD TRAVEL AWARDS-ის დაჯილდოების ცერემონია საქართველოში პირველად იმართება. ღონისძიების მასპინძლობის პატივი ბათუმს 2019 წელს, „ევროპის ყველაზე სწრაფად მზარდი ტურისტული მიმართულების“ მსოფლიო ტურიზმის ოსკართან ერთად ერგო. 29 სექტემბერს დასახელდება ის ქვეყნები, ქალაქები და კომპანიები, რომლებიც მიიღებენ პრესტიჟულ ჯილდოებს.

ნომინაციებში, წელს, ქალაქი ბათუმი, ბოტანიკური ბაღი და ბულვარია წარდგენილი. „ევროპის წამყვანი ბოტანიკური ბაღის“ ნომინაციაში, ბათუმის ბოტანიკური ბაღი მადრიდის, ედინბურგის, ბერლინისა და სხვა ცნობილი ევროპული ქვეყნების ბაღებს უწევს კონკურენციას.

ღონისძიებებს 20-ზე მეტი ქვეყნის ტურიზმის ინდუსტრიის, მედიისა (მათ შორის EURONEWS, WANDERLUST-ის, EMERGING EUROPE-სა და EARTHPIX-ი) და ტურიზმის უწყებების 300-ზე მეტი წარმომადგენელი ესწრება.

აჭარა ევროპის ყველა სეზონის ტურისტულ მიმართულებად დასახელდა - ბათუმში, World Travel Awards-ის გალაცერემონიაზე, „ტურიზმის ოსკარის“ ნომინანტები დაჯილდოვდნენ

29 სექტემბერი, 2023 წელი

ბათუმში, World Travel Awards-ის ევროპის გალაცერემონიაზე, „ტურიზმის ოსკარის“ 2023 წლის ნომინანტები დაჯილდოვდნენ.

პრესტიჟული ჯილდო გადაეცა აჭარას, როგორც ევროპის ყველა სეზონის ტურისტულ მიმართულებას. ტურიზმის ოსკარით ასევე, დაჯილდოვდნენ: ბათუმის ბოტანიკური ბაღი - ევროპის წამყვანი ბოტანიკური ბაღის ნომინაციაში და ქალაქი ბათუმი, რომელმაც კვლავ შეინარჩუნა ევროპის სწრაფად მზარდი ტურისტული მიმართულების ტიტული.

საზეიმო ღონისძიებას აჭარის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის თავმჯდომარეები - დავით გაბაიძე და თორნიკე რიჟვაძე, ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

„ტურიზმის ოსკარის“ სახელით ცნობილი WORLD TRAVEL AWARDS-ის დაჯილდოებას საქართველომ პირველად უმასპინძლა და ღონისძიება მისი დაარსების საიუბილეო, 30-ე წელს დაემთხვა. გალაცერემონია გრანდიოზული შოუპროგრამით გაიხსნა, რომელზეც ქართული კულტურა, ხელოვნება, ტრადიციები, ისტორია და სტუმარმასპინძლობა იყო წარმოდგენილი.

დაჯილდოების გალაცერემონიამდე ერთი დღით ადრე ბათუმმა ტურიზმის საერთაშორისო ფორუმს უმასპინძლა.

საერთაშორისო ურთიერთობები

დავით გაბაიძის ხელმძღვანელობით აჭარის დელეგაციის ვიზიტი პოლონეთში დასრულდა

19 სექტემბერი, 2023 წელი

აჭარის დელეგაციის ვიზიტი პოლონეთში, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის - დავით გაბაიძის ხელმძღვანელობით, დასრულდა. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა ქალაქ ვროცლავის, ტშებნიცასა და ქვემო სილეზიის ხელმძღვანელ პირებთან. განიხილეს საქართველოსა და პოლონეთის რეგიონებს, მუნიციპალიტეტებს შორის სამომავლო თანამშრომლობის საკითხები, ერთობლივი პროექტების განხორციელების პერსპექტივები.
აჭარის დელეგაციის წევრებთან შეხვედრებზე, პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენლებმა, უმაღლესი საბჭოს ინიციატივით, მომავალ წელს, ბათუმში დაგეგმილ რეგიონული პარლამენტების კონფერენციაში მონაწილეობის მზაობა გამოთქვეს. კონფერენცია ღია მმართველობის საკითხებს დაეთმობა.

მხარეები შეთანხმდნენ, სამომავლოდ, შუახევისა და პშიბნიცას მუნიციპალიტეტებს შორის აქტიურ თანამშრომლობაზე განათლების მიმართულებით. კერძოდ, ადრეული და სკოლამდელი, ასევე სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების მართვის კუთხით არსებული გამოცდილების გაზიარებაზე.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, დელეგაციის წევრებთან, უმაღლესი საბჭოს წევრ - ფრიდონ ფუტკარაძესთან, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრ - ჯაბა ფუტკარაძესთან, ბათუმისა და შუახევის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან ერთად, პოლონეთის, ლუბუშის სავოევოდოს ვიცე-მარშალს და ბათუმის პარტნიორი ქალაქის - ზელიონა გურას მერს შეხვდნენ. განიხილეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებასთან დაკავშირებული საკითხები.

ვიზიტის ფარგლებში, აჭარის დელეგაციის წევრები, საპატიო სტუმრის სტატუსით ქალაქ ზელიონა გურაში გამართულ ღვინის ფესტივალს დაესწრნენ.

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე, დელეგაციის წევრებთან ერთად, ზალცბურგის მე-19 ევროპულ სამიტში მონაწილეობს

25 სექტემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე ზალცბურგის მე-19 ევროპულ სამიტში მონაწილეობს, რომელიც ავსტრიის კანცლერის პატრონაჟითა და ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) ორგანიზებით მიმდინარეობს.

საერთაშორისო ფორუმს, საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარესთან ერთად, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - მარინე გვიანიძე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი - ზაზა შავაძე, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე - ზაურ ახვლედიანი ესწრებიან.

სამიტამდე, დელეგაციის წევრებმა ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის გენერალურ ასამბლეაზე, IRE-ს მიერ გაწეული საქმიანობის (მათ შორის ფინანსური) ანგარიში მოისმინეს.

სამიტის გახსნამდე, მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ საინფორმაციო მასალებს აჭარის შესახებ, რომლებშიც უმაღლესი საბჭო წარმოდგენილია როგორც ღია მმართველობის თვალსაჩინო მაგალითი.
ევროპული სამიტის პირველ დღეს მთავარი მოხსენებით ავსტრიის კანცლერი - კარლ ნეჰამერი წარსდგა.

აჭარის დელეგაციის წევრები დაესწრებიან სხვადასხვა თემატურ სესიას, ასევე შეხვედრებს გამართავენ ევროპის ქვეყნების რეგიონულ და ფედერალურ ლიდერებთან.

ქართული დელეგაცია ზალცბურგში IRE-ს პრეზიდენტის, ფრანც შაუსბერგერის მიწვევით იმყოფება.

დავით გაბაიძე, ზალცბურგში ვიზიტის ფარგლებში, ევროკომისარ იოჰანეს ჰანსს შეხვდა

26 სექტემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე, დელეგაციის წევრებთან ერთად, ზალცბურგში მიმდინარე მე-19 ევროპულ სამიტში მონაწილეობის პარალელურად, შეხვედრებს მართავს ევროპული სტრუქტურების ოფიციალურ პირებთან და რეგიონულ ლიდერებთან.

ვიზიტის ფარგლებში, დავით გაბაიძე შეხვდა ევროკომისარ - იოჰანეს ჰანსს, რომელიც სამიტის მეორე დღეს მთავარი მოხსენებით წარსდგა.

დელეგაციის წევრებმა აჭარის უმაღლეს საბჭოსა და ზალცბურგის ლანდტაგის თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს ლანდტაგის პრეზიდენტთან, ბრიჯიტა პალლაუფთან გამართულ შეხვედრაზე.

ყურადღება გამახვილდა ღია მმართველობისა და გამჭვირვალობის მიმართულებით საკანონმდებლო ორგანოების გამოცდილებაზე. აღინიშნა, რომ ორივე ინსტიტუცია, ამ მხრივ, რეგიონული და ქვეყნის მასშტაბით ლიდერობს, რაც თანამშრომლობის ინტერესს და შესაძლებლობებს კიდევ უფრო ზრდის.

საუბარი შეეხო რეგიონული თანამშრომლობის საკითხებსა და პერსპექტივებს. ამასთან, დავით გაბაიძემ, ლანდტაგის დელეგაცია, 2024 წელს, ბათუმში დაგეგმილ რეგიონული პარლამენტების კონფერენციაზე მოიწვია, რომელიც უმაღლესი საბჭოს ინიციატივითა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით გაიმართება.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ზალცბურგის სასოფლო-სამეურნეო პროფესიული სკოლა.

აჭარას ზალცბურგის სამიტზე უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, დავით გაბაიძე, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - მარინე გვიანიძე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი - ზაზა შავაძე, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე - ზაურ ახვლედიანი წარმოადგენენ.

ზურაბ ჭურკვეიძე „ღია მმართველობის პარტნიორობის გლობალურ სამიტს - 2023“ დაესწრო

14 სექტემბერი, 2023 წელი

2023 წლის 5-7 სექტემბერს, ესტონეთის დედაქალაქ ტალინში, გაიმართა „ღია მმართველობის პარტნიორობის გლობალური სამიტი 2023“ და „ღია პარლამენტის დღე - 2023“, რომლებშიც აჭარის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი - ზურაბ ჭურკვეიძე მონაწილეობდა.

ღია პარლამენტის ელექტრონული ქსელის (OPeN), ესტონეთის პარლამენტისა (Riigikogu) და ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მიერ ორგანიზებულ სამიტში - სხვადასხვა ქვეყნის მაღალი რანგის სახელმწიფო თანამდებობის პირები, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

„2020 წლიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ჩაერთო ღია მმართველობის ინიციატივაში და წამოიწყო ინსტიტუციური ღიაობის რეფორმა. ღია მმართველობის დანერგვის მიზანია ინსტიტუციური ეფექტურობის გაძლიერება, ღიაობის პრინციპების დანერგვა, გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში. ამ მიზნების მისაღწევად, შეიქმნა ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საბჭო, რომელმაც სამოქალაქო სექტორთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, 2020-2021 წლების პირველი სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელების შემდეგ, დაამტკიცა 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა. ტალინის სამიტი, ჩვენთვის, კიდევ ერთი შესაძლებლობა იყო, გავცნობოდით ღია მმართველობის კუთხით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აპრობირებულ საუკეთესო მოდელებს, გამოცდილებასა და სიახლეებს,“- აღნიშნა ზურაბ ჭურკვეიძემ.

რამდენიმე პანელურ სესიად მიმდინარე სამიტზე ყურადღება გამახვილდა ციფრულ ეპოქაში უფრო მეტად გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული ღია მმართველობის ხელშეწყობაზე, დემოკრატიულ პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ ეფექტიან მონაწილეობაზე, ტექნოლოგიურ განვითარებაზე, კლიმატურ ცვლილებებზე, კორუფციასთან ბრძოლასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

sca.ge

chaerte.sca.ge